



### წა სოვანე ოქროპირი

#### შარხვისათჳს ღა ონამსთჳს\*

ამოჩინებულ და შუენიერ არს დღესასწაული ესე და უზეშთაეს და უმაღლესს არს ჩუეულთა მათ დღესასაულთაჲ კრებაჲ ესე. **ნა** რამე არიან ძალნი? ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ მარხვისაგან არიან განწესებანი მართლ მმარხველთანი, არა შემოახლებული ესე, არამედ რომელსა-იგი მოველით. **ჩამეთუ** იგი არს, რომელმან-იგი შემკრიბნა მამულსა ამას სახლსა და რომელნი-ეგე პირველ უდებ იყვენით და მოზარე და მორიდე და განბნეულ, ამან ვითარცა დედამან შემოგკრიბნა და შეგინყნარნა თქუენ.

აკუეთუ მოლოდებასა ამას ესთენსა განკრძალვასა გიბრძანებს, რაჟამს მოვიდეს და მოინიოს, რავდენ არა უფროს შიში და მოთმინება გიჩუენოს! ესრე სახედცა ქალაქი განეკრძალის და განემზადის მოლოდებასა და შემოსლვასა საშინელისა ჳელმწიფისასა და ადრე-ადრე დაუტევიან უდებებაჲ და განეკრძალნიან შიშსა და მიგებებასა.

ჴოლო მარხვაჲ და სინმიდჳ ნუვის უჩნ საშინელ და საზარელ. **ნრამედ** არა თქუენდა საშინელ არს, არამედ ბუნებასა დევთასა. **ნა** თუ ეშმაკეულ ვინმე იყოს, უჩუენე მას სახჳ მარხვისაჲ. **სპოოს** ვითარცა ლოდი შეუძრავი და შეურევებულ შიშითა მით და დანაბულ და ვითარცა საკრველითა რკინისაჲთა შეკრულ და უფროს, რაჟამს იხილოს თანა-მოლუჲანჳ იგი მარხვისაჲ – ლოცვაჲ. **ჴომლისათჳსცა ჴრისტჳ** იტყვს, ვითარმედ: «ესე ნათესავი არარაჲთ განჯდეს, გარნა ლოცვითა და მარხვითა»(მთ.17,21; მრკ.9,29).

**ნ** ვინაჲთგან მტერისა ამისთჳს ჳსნისა ჩუენისა და მჯდომის ცხოვრებისა ჩუენისა ესრჳთ საშინელ არს მარხვაჲ, უკუე წეს-არს შეყუარებად იგი და მიახლებად მისა და არა მორიდებად მიგსან. **ჴოლო** მორიდებაჲ წეს არს ნაყროვანებისაგან და მთვრალობისაგან და არა მარხვისაგან. **ჩამეთუ** იგი არს, რომელ-

მან შეგუკრნა ჩუენ საკრველითა ნაყროვნობისაჲთა და მიგუცნა ჩუენ ჳელთა ბუნებასა საღმობიერსა, გუეუფლა და დაგვმორჩილნა ჩუენ ვითარცა ტყუენი დამონებულნი.

**ჴოლო** მარხვამან და ლოცვამან განგუათავისუფლნა ჩუენ მონებისაგან და განგვტევენა ჩუენ კრულებათაგან და გამოგვყვანნა ჩუენ მძღავრებისაგან და მასვე პირველსა აზნაურებასა დაგუადგინნეს ჩუენ. **ნ** ვინაჲთგან მტერსა ამას ჩუენსა წინა-აღუდგეს და მონებისაგან გამოგვყვანნეს და აზნაურებად მოგვზიდნეს, რაჲღა უფროს გვჳმს გამოცდილება სიყუარულისა მის მათისაჲ, რომელ არს ჩუენდა მომართ?

**ნ** გნებაჲს ცნობად, რავდენ-რაჲ სამკაულ არს კაცთა მარხვაჲ და ლოცვაჲ, ანუ რავდენი მცველობა და კრძალულება არს? ან გნებაჲს გულისხმის ყოფად და ცნობად, ხოლო ამითვე გულისხმა-ყავთ მოვანეთაგან დანესებულთა წესი, თუ ვითარ იგინი განყენებულ და განშორებულ არიან ყოველთაგან აღძრვათა და განცხრომათა ამის სოფლისათა: ვიეთნიმე თავთა ზედა მათათასა, ვიეთნიმე ტალავრებითა უდაბნოსა დაყუდებულ და ვითარცა ნავთსადგურსა მშჳდობისასა შევედრებულ, ამათ შეყოფილ შეძინებად და მოდგამ ცხორების შეთუალულ. **ნა** იგინივე მათგან გამოაჩინნა ანგელოზად კაცთა შორის და არა თუ იგი ხოლო, არამედ რომელნი ქალაქთაჲცა შინა მყოფ არიან, რომელნი-იგი მახლობელ არიან ლოცვასა და მარხვასა, მასვე სიმალლესა დიდებისასა ახილვასა გვრგვნოსან იქმნენ, ვითარცა-იგი **შოსე** და **ლია**, თავნი იგი და მოწაფენი ძუელისა მის შჳჳულისაგანნი, რომელნი რომლითა სახითა იქმნეს წარმოჩინებულ და ძლიერ, რომელთა აქუნდა კადნიერებაჲ სიყუარულისა მის მიმართ იმრთისა, რამეთუ, რაჟამს უნებნ მიახლებად მისა და სიტყუად მისა, ვითარცა კაცმან მიიახლნის და შეივედრნის იგინი.

**ნ**მისთჳსცა იმერთმან რაჟამს შექმნა დასა-

\* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 100-111.

ბამსა კაცი, ადრე-ადრე მუნთქუესვე მარხვისა მცნებაა უბრძანა მას და ვითარცა მოწლესა დედასა და შჯულიერსა მოძღუარსა მითვე იგი შეჰვედრა მას, რამეთუ, რაჟამს ეტყვს, ვითარმედ: «ყოვლისა მის ხისა სამოთხისა ნაყოფი შჭამოთ, ხოლო ხისა მისგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ»(დაბ.2,16-17), არცა მიეხნეთ. წმით გჳრუენა ჩუენ სახჳ მარხვისა.

აკუეთუ სამოთხესა შინა პატიოსან და შერა ცხილ იყო მარხვაჲ, რავდენ არა უფროჲს გარეშე სამოთხესა მას! უკუეთუ გუემამდე შერა ცხილ იყვენეს წამალნი იგი, რავდენ არა უფროჲს შემდგომად გუემათა მათ! უკუეთუ ვიდრე არღა ზრზენადი იგი გულის თქუმათაჲ მათ ბრძოლილ იყო, მარჯუე და წეს-იყო საჭურველი იგი, რავდენ არა უფროჲს შემდგომად გულის თქუმათა მათ წეს-არს მოპოვნებად, რამეთუ პირის საცემელად ეშმაკთა დიდი საჭურველი და შენენვაჲ არს მარხვაჲ.

აკუეთუ ამის ჳმისამცა მორჩილ იყო **ტდამი**, არღარამცა ესმა ჳმაჲ იგი მეორედ, რომელი ისმა მისა მიმართ, ვითარმედ: «მინაჲ იყავ და მინადვე მიიქცე»(დაბ.3,19), ხოლო, ვინაფთგანი იგი არა ისმინა, ამისთვის შრომაჲ, ჭირი, მწუხარებაჲ, სიკუდილი და ცხოვრებაჲ უმძიმჳს სიკუდილისა განენესა მის ზედა, ამისთვისცა ეკალი და კუროსთავი; ამისთვის საღმობანი, საღმობაჲ შობასა და ცხორებაჲ დაშრომითი.

ზხედავ, ვითარ განრისხნა იმერთი შეურაცხებასა ზედა მარხვისასა! და ისწავე მეორედ, ვითარ უხარინ პატივის-პყრობასა ზედა მარხვისასა. ჯამეთუ, რაჟამს შეურაცხ-იქმნა მარხვაჲ, პატიჟად სიკუდილი განაჩინა შეურაცხის მყოფელსა მას ზედა მარხვისასა.

უსრე სახედცა, რაჟამს პატიოსან ყო მარხვაჲ, დაიყენა სიკუდილი იგი. **წწ** ჰნებაჲს, რაფთამცა აჩუენა ძალი საქმეთაჲ მათ, რომელ მისცა მას ჳელმწიფებაჲ შემდგომად ბრძანებისა მის და შემდგომად ჭირთა მათ, რომელნი შეყენებულ იყვენეს სიკუდილსა, ჳელთ დებულნი მისგან მოუხუნა და მუნვე მასვე ცხოვრებასა დაამტკიცა და განანესა.

წა ესე არა თუ ორითა და სამითა, გინა ოცითა კაცითა, არამედ დიდი იგი სიმრავლჳ აღმურვილი დიდისა მის და საკრველისა ქალაქისა **ჩინეველთაჲსა**, რომელნი მუჳლ-დადგმით დაფრდომილ იყვენეს და თავ-მოდრეკილ რეცა მღვმესა შთავრდომილნი ისხნეს და მოელოდეს ზეგარდამო გუემასა მას რისხვისასა, მაშინ

ადრე-ადრე შეუდგა მწრაფლ და მიინია ფრთე-მალედ ძალი იგი და მუნვე კუალად ბრძანებასა მას რისხვისასა მიაქცევდა, გამოზიდვიდა და გამოიყვანებდა, ჳელთაგან მძღავრ ბრძანებისა მისგან განარინებდა და მასვე ცხოვრებასა ზედა ნუგეშინის სცემდა.

ჴოლო აწ ამიერთგან, თუ გნებაჲს სმენად სიტყუათა ამათ, ვინყო თხრობად საკითხავთა ამათ.

წა იყო სიტყუაჲ **აფლისაჲ** **წონაჲსა** მიმართ და ჰრქუა: «აღდეგ და მივედ დიდსა მას ქალაქსა **ჩინევედ**»(იონ.1,1-2), რომლითაცა ჰნებაჲს დიდითა მით ქალაქითა განსწავლაჲ მისი, რომლისაჲ იგი მეოტობაჲ წინაფსწარ უწყოდა.

წწ პირველად ვისმინოთ ქადაგებისაჲ მის, რომელსა იტყვს: «შემდგომად სამისა დღისა **ჩინეჳ** დაემჳუას»(იონ.3,4). **წწ** რაფსა-მე წინაფსწარ უთხრობს, რომელსა ზედა ჰნებაჲს რისხვაჲ? – წინაფსწარ უთხრობს, რაფთა არა ჳელს-ჳელ გუემნეს ამისთვის გეჰენიაფთა მით; უთქუმიდა, რაფთა არა გეჰენიასა მას დაითქნენ; ზარსა განგუჳდის ჩუენ სიტყუთა, რაფთა არა საქმითა გუსაჯუნეს. **წწ** რაფსა ჟამი იგი ბრძანებისაჲ მის იწროდ და მოკლედ განაჩინა? – რაფთა უსმთაჲ მათ ნათესავთაჲ ისწაოს საქმჳ, რომელთა-იგი ორსა მას დღესა შეუძლეს ეგოდენთაჲ მათ შეცოდებათა აჳოცაჲ და წარწყმედაჲ და იმრთისა დამჳვდებაჲ.

წწ იმრთისა კაცთ-მოყუარებისა მისთვის დაგიკრდინ, ვითარ მესამესა დღესა შემძლებელ იქმნეს მოუგონებელთა მათ ქველის საქმეთა მოღებად, და შენ ნუ დაჰბრკოლდები და იჯმნი, და თუ ბევრ წილ შეცოდებულ იყო, რამეთუ, რომელ-იგი უსუსურ და დაჳსნილ არნ გონებითა, დაღათუ მრავალი ჟამი დაყვის სინანულსა შინა, არა პოვის სარგებელი თავისა თვისსაჲ და ვერცა დაიგის იმერთი განბნეულითა მით გონებითა თვისითა.

წწ რე სახედცა, რომელი მოსწრაფე და გულს-მოდგინე არნ და ნუგეშინის ცემულად ცხონდებინ და დიდითა შრომითა სინანული აჩუენის, ესევეითარი ესე შემძლებელ არს მცირითა ჟამითა მრავალთა წელთა შეცოდებათა თანა-ნადებთა გარდაჳდად.

წწ რა **სეტრე** ფიცით სამ გზის უფარ-ყოა? არა ერთისა ქალისა მჳველისა სიტყუასა შეშინდა და შებრკოლდაა? და მერმე რაჲ, ნუთუ მრავალი წელი დაშურაჲ სინანულსა? – არასადა.

წრამედ მუნთქუესვე და მასვე ღამესა დაეცა და აღმართა, ინყლა და დასნეულდა და მერმე განიკურნა და განცოცხლდა. **თა** თუ სთქუა, ვითარ ანუ ვითარ სახედ? – იტყვს: «ტიროდა მწარედ»(მთ.26,75). **წრა** თუ უდბად და ვითარ ხუნდა, არამედ დიდითა გულს-მოდგინებითა. **წმისთვისცა** მახარებელი იტყვს: არა უდბად ტიროდა, არამედ «ტიროდა მწარედ». **თა** რავდენმე რა იყო ცრემლთა მათ ძალი, სიტყვთ ხოლო ვერ მიგანო და გაცნობო, ხოლო ძალი და ახილვად საქმისა მის გამოაჩინებს. **ქამეთუ** შემდგომად გარდარეულად შეცოდებისა მის უვარებისა, –რამეთუ ვერ ესწორების ამას შეცოდებასა სხუად ბრალი და შეცოდებად, –ხოლო შემდგომად ესოდენისა მის ძვრისა, მერმე მასვე დიდებასა და პატივსა განანესა და დაადგინა ჴელმწიფედ **უკლესიათა** ზედა და ყოველთა ცისკიდეთა ზედა დაადგინა, თავად ყოველთა ზედა გვჩუენა ჩუენ იგი, უმეტეს ყოველთა მოციქულთასა ყო იგი. **ქამეთუ** სიყუარული იგი მისი ახილვა იქმნების მისა **აფლისა** მიერ მისისა, ვითარცა იტყვს: «**სეტრე**, გიყუარ-მეა შენ უფროს ამათსა»(ინ.21,15), ანუ მსგავს ამათსა? რა-მე უფროს არს ნადიერებისა და გულს-მოდგინებისა და მწნისა გონებისა?

**ჩუ** იტყვ, ვითარმედ **ჩინეველთა** მათ კაცთა მართლად ულხინა იმერთმან, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: მონამან რომელმან არა უწყინებდა **აფლისა** თვისსა და არა ყოს ბრძანებად მისი, მიიღენ ცემად და მცირედ(ლუკ.12,48), რა-თა არა ამას იტყოდ: ამისთვის წარმოგიდგინა შენ **სეტრე** – მონა თვისი საშოვალ, რომელმანცა-იგი იცოდა ნებად **აფლისა** თვისსა, რამეთუ შესცოდა მიუტევებელი და მოუგონებელი შეცოდებად, იხილე ან, რომელსა კადნიერებასა ანუ პატივსა დიდებისასა აღამაღლა!

**უგრე** სახედცა შენ, რაჟამს სცოდო, ნუ განვრდომილ სცთები ყოვლითურთ, რამეთუ შეუძლებელ და მიუტევებელ ცოდვად იგი არს, რომელსა დგანან და ყოვნიან მასვე შინა. **ქამეთუ** ამას თვთ მოციქული ზრუნვით და ჭუვილით იტყვს და ამასცა მისწერს: «ნუთუ, რაჟამს მივიდე თქუენდა, და-ნუ რა-მამდაბლოს მე იმერთმან თქუენთვის და გლოვასა შევრდომილ ვიპოო მრავალთათვის თქუენ შორის, არა მათთვის, რომელთა ცოდეს ხოლო, არამედ მათთვისცა, რომელთა-იგი არა შეინანეს გულის-თქუმათა და სიბილწეთა, რომელ ქმნეს»(2კორ.12,21).

**ჰოლო** ან სინანულისათვის. **ქომელი** ჟამი ყოფად არს მარჯუე უფროს ამის ჟამისა, რომელ არს მარხვად?

**ჰოლო** ან მივიქცეთ მათვე საკითხავთა და სათხრობელთა. **თა** რაჟამს ესმა წინანარმეტყუელსა მას მოციქულებად იგი, შთავიდა **სოჰედ**, რაათა მიივლტოდის **ქარშით** პირისაგან **აფლისა**(იონ.1,3).

**ჴიდრე** ივლტი, **ჴ** კაცო? არა გასმიეს წინანარმეტყუელისა მის, რომელსა იტყვს: «ვიდრე ვიდე სულისაგან ჴენისა, ანუ **სირისა** ჴენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი?»(ფს.138,7) – ქუეყანასა ზედა? იტყვს: **აფლისა** არს ქუეყანად და სავსებად მისი. «**ჯოჯობეთა** შთა-თუ-ვვდე, მუნცა ახლოსვე ხარ, მუნცა ჴელი ჴენი მიძლოდის მე და მარჯუენემან ჴენმან შემინყნაროს მე»(ფს.138,9-10). **უსე** ყოფილცა არს, ხოლო, რამეთუ ცოდვად ესრტთ არს, დიდსა უგუნურებასა და ცთომილებასა დაანთქნის **სულნი** ჩუენნი. **ჴითარცა** მთრვალობამან და ბრუ-ქცეულებამან ვინმე შეიპყრის, ცუდად მიმოდავალნ და ეფუეშუებინ და, თუ მოემთხვის მთხრებელი ანუ კლდჳ, გარდავარდის ანუ რომლითავე სახითა უნასეულ იქმნის ურიდად და **უშიშად** სლვითა მით დაცემულ.

**უსრე** სახედცა რომელნი ცოდვითა შეპყრობილ არიან, ვითარცა მთვრალობითა უნესოებისაათა და საქმითა გულის თქუმისაათა, შეკრულ არიან და მოჭიმულ და შეპყრობილ არიედ და არა უწყიედ, რასა იქმედ; არცა მახლობელი უწყიედ, რა არნ, არცა შორიელი უცნობიენ, რა ყოფად არნ, და არცა **აფალი** თვისი მოიქსენიან.

**ჰოლო** ან შენ ამიერთგან მერჩდი და ისმინე ნუთ ერთ და საქმისა მისგანვე სცნა ძალი იგი. **ჰოლო** ჴელთაგან ჴლვსათა მონა-მოყუისსაგან ვერ ივლტოდა, ვერცა განერა და, ვიდრე არღა მიახლებულ იყო ნავსა მას, მუნთქუესვე ჴლუად იგი დელვათა აღამაღლებდა და განძვნებულ და განძლიერდებოდა.

**თა** ვითარცა მონამან **აფლის** მოყუარემან და სარწმუნომან მოყუასი იგი თვისი პოვ, ვითარცა განდგომილი და მეოტი, ვითარცა მპარავი და ავაზაკი საუფლოვსა ფასისა, და არა განეშორების და არცა განეყენების მათ, რომელნი-იგი მასპინძელ ექმნეს მას, მრავლითა მიზეზითა და ყუედრებითა არცხუენდა მას, ვიდრემდის მოცა-ულო მას მოცემული **აფლისა** მიერი.

უსე უყო ზღუამან მან: ვითარცა პოვა მოყუ-  
ასი იგი თვისი და იცნა იგი, ათასითა ფერთა  
დააშრო იგი ამბოხი და ღალადებად, და რისხვად  
აღადგინა მის ზედა.

სრა საშჯელად მიზიდა და მიიყვანა, არა-  
მედ თვთ თავადი უთქუმიდა და სასტოოდა,  
რათამცა დაათქა იგი, და არა თუ მოყუასსა  
მას თვისსა განმართ გაუტევებდა, ვითარცა ესე  
ყოველი იქმნებოდა.

შერმე რაა ყვეს მენავეთა მათ? – იტყვს:  
«გარდააბნიეს ჭურჭელი იგი ნავისა მისგ-  
ან»(იონ.1,5). **წა** მითცა ნავი იგი არა აღმცირ-  
დებოდა, რამეთუ, რომლისათვის-იგი განრისხ-  
ებულ იყო ზღუად იგი, ნავსა მას შინადა იყო –  
თვთ ჴორცნი იგი წინანარმეტყუელისანი მის.  
სრა თუ სიმრავლჳ ჴორცთაჲ მათ რამე მძიმე  
იყო, არამედ ცოდვაჲ შეცოდებათაჲ მათ ვი-  
თარცა ტვრთი მძიმე იყო, რამეთუ არა არს  
უმძიმე და უძნელე ტვრთ, ვითარცა ცოდვაჲ  
და განდგომილება.

სმისთვსცა წინანარმეტყუელი **ხაქარია**  
იტყვს და ბრპენსა ამსგავსებს ცოდვასა(შდრ.  
**ხაქ.** 5,7–8). წინანარმეტყუელი **წავით** ბუნება-  
სა ცოდვისასა მოგუასნავებს და იტყვს: «რამე-  
თუ უშჯულოებანი ჩემნი აღმემატნეს თავსა  
ჩემსა და ვითარცა ტვრთი მძიმჳ დამიმძიმდა  
ჩემ ზედა»(ფს.37,4).

**წა** ჴრისტჳ ეტყვს მათ, რომელნი მრავა-  
ლსა ცოდვასა წარგრაგნილ ცხონდებიან, ღა-  
ლადებს და ეტყვს მათ: «მოვედით ჩემდა ყო-  
ველნი დამაშურალნი ეგე და ტვრთ-მძიმენი და  
მე განგისუენო თქუენ»(მთ.11,28).

**სწ** იგი არს, რომელმან იგი მაშინ ნავი და-  
ამძიმა და უნდა შთანთქმად მისი და **სონას**  
ეძინა და ხურინვიდა(იონ.1,5). ჴშირ იყო ძილი  
იგი, ხოლო არა იყო ტკბილ ძილი იგი, არამედ  
მწუხარებისაჲ იყო; არა იყო უზრუნველებისაჲ,  
არამედ შენანებისაჲ, რომელმან მონამან ადრე  
ცნის შეცოდებაჲ ცოდვისა თვისისაჲ, ვითარცა-  
იგი მან ცნა, რამეთუ შემდგომად საქმისა მის  
ცოდვისა გულისხმა ყო და მოეგონა ძალი შე-  
ცოდებისაჲ მის. ჴამეთუ იყოცა ეგრე შეცოდე-  
ბად იგი; და შემდგომად, ვითარცა იშვა ცოდ-  
ვაჲ იგი, მაშინლა აღადგინებს და განარისხებს  
სალმობასა სულთასა.

სოდვაჲ იგი შობილი მჴდომ არს შჯულისა  
მის ჩუენისა შობისა, რამეთუ, ჩუენ რაჟამს  
ვიშვნით, სალმობად იგი შობისაჲ მის დასცხრის  
და მშობელი იგი დაყუდნის. **სლო** ცოდვაჲ რა-

ჟამს იშვის, განბძარის და განხეთქის, ცოდავნ  
მშობელი, იგი არს ესე: შობილი იგი – ცოდვაჲ  
პირად-პირადი და ზრახვაჲ ბოროტი.

**წა** მერმე რაა მენავეთ-მოძღუარი იგი  
აღდგომილი ეტყვს მას: «აღდეგ და ხადოდე  
**აფალსა** იმერთსა შენსა»(იონ.1,6), რამეთუ  
მიერთგანცა გულისხმა-ყო ზედამინევენით,  
ვითარმედ არა არს აღძრვაჲ ესე ზღვსად ამის  
ჩუეულებათაებრ და აღძრვათა პირველთა, არ-  
ამედ იმრთისა მიერი ბრძანებაჲ არს და უშემ-  
თაეს და უძლიერჳს ჴელოვნებისა კაცთაჲსა და  
არა სარგებელ და შემძლებელ არიან ჴირნი ესე  
და შრომანი მანქანათაჲ ამათ და ჴელოვნებათა  
მენავეთაჲ ამათ, არამედ ესე სხუასა ვისმე ევე-  
დრების შემწედ და განრინებად მოიხადის **სჳს**,  
**ჴომელმან** ყოველი სოფელი შექმნა, განჴმზადა  
და დაამყარა **ძესითა** სიბრძნითა. **სმისთვსცა**  
შემწენსა ზესკნელსა შევედრებოდა. **სმისთვ-**  
**სცა** დაუტევენს მენავეთა მათ საქმარნი იგი  
და აფრაჲ იგი უბოვანი, სუეტი იგი შუენიერი  
და მალალი და საბელნი იგი განზიდულნი და  
ყოველი საქმარი მსგავსად აღსაგებელისა მის  
და ზომისა, ვითარცა არნ, და ჴელ ზეაყრობით  
ლოცვასა და ვედრებასა შინა იყვენს, თუაღნი  
ზეცად აეხილნეს და იმერთსა ევედრებოდეს.

**წა** ვითარ ვერარაჲ სარგებელ ექმნებოდა,  
მაშინლა ნილ-იგდეს(იონ.1,7). **სმიერთგან** მი-  
ეცემის ნილსა მას თანა-მდები იგი ჴელთა პა-  
ტიჴისათა, ხოლო მათ მითცა არავე შთააგდეს  
ზღუასა მას, ხოლო ეგდენსა მას შინა ჴირსა და  
აღძრვასა ზღვსასა, ვითარცა შორის მრავალსა  
მშვდობასა, გულ-განჴრინებელად ნუგეშინის-  
ცემულ იქმნებოდა და საშჯელსა და განკითხ-  
ვასა იქმოდეს ნავსა მას შინა.

**სიუგებდა** ერთიერთსა ქენობით და ეტყო-  
და და მიწვენით გამოეძიებდეს, ვითარ-მე ანუ  
რათა-მე გამოაჩინონ, თუ ვინ ცოდა ანუ ვინ-  
მე მათგანი თანა-მდებ იპოვა.

**სწ** ისმინე მათი, რამეთუ, ვითარცა საშ-  
ჯელსა შინა ყოველსა გამოიკითხვენ, ჴკითხ-  
ვენ, ვითარმედ: «რაჲ არიან საქმენი შენნი?  
ვინაჲ ხუალ ანუ ვიდრე ხუალ? ანუ რომ-  
ლისა სოფლისაჲ ხარ? ანუ რომლისა ერისაჲ  
ხარ?»(იონ.1,8). **სჳს** ჟამსა ზღუად იგიცა საშჯე-  
ლად აღუდგა, ღალადებდა და შეეტყუებოდა  
ნილი იგი და შესწამებდა.

**სითცა** არცა ზღვსა მის ღალადებასა და  
არცა ნილისა მის შეწამებასა არლა მიაწვედეს  
პატიჴსა, არამედ, ვითარცა საშჯელსა შინა,

შორის მსაჯულთა არა პირველად განაჩინიან და არცა თავ-ადგიან შეცოდებულთა მათ ზედა, ვიდრე არა აღიარის შეცოდება თვისი, რომელ ქმნა, ესრე სახედცა მენავეთა მათ: იყვნეს უცებ და უმეცარ საშჯელსა და ბჭობასა შჯულისასა, და რავდენი შიში და ზარი ღელვათა მათ აღმაღლებულთა, და ეგდენსა რისხვასა შეცულ და შეყენებულ იყვნეს და ზლუა იგი საშინელად აღძრულ იყო! და მისა ვინა-მე იქმნებოდა ეგოდენი მხილება და ღუნოლად, არა თუ იმრთისა მოღუანებათაგან? რამეთუ იმერთი არს, რომელი განჰმზადებდა და შეტყუებით ამხილებდა ამით სახითა და საქმითა განსწავლიდა წინანარმეტყუელსა მას, რათა ისნაოს კაცთ-მოყუარება და მორჩილება.

ნა ეტყვს: მენავეთა ოდენ მაგათ ემსგავსე, კაცთა უცებთა და უსწავლელთა, რამეთუ მაგათ ერთი ეგე სული არა უდებ-გყვეს და არცა მოუთუალველ და შეურაცხ, ხოლო შენ ქალაქი ერთი დიდი ყოვლითა კეთილითა სავსე და ურიცხვ ბევრეული უდებ-ჰყავ, რავდენ შენ ჳელ-გენიფა. ნა ეგენი ეგერა ჰპოვენ მიზეზსა ჭირთა მათ თვსთა შინა, რომელ შენ გამო არიან, და მითცა ეიძულების წარწყმედად შენი და არა ჰნებავს.

ხოლო შენ ეგევითარი მიზეზი არა გაქუს ჳელთა **წინველთა** წარწყმედისათვს. ჯაღსათვს წინაღსწარ განმზადებულ ხარ დაცემად ქალაქისა მაგის და წარწყმედად? შენ ჩემსა ბრძანებასა არა მერჩდი, რათამცა იწსნა ქალაქი **წინველ** ქადაგებითა.

ხოლო მათ არავისგან ესმა და არცა ამცნო ვინ. ყოვლითავე განმზადებულ არიან და განკრძალულ შენთვს. ნა შენ რომელი-ეგე მიზეზი ხარ მაგათისა მაგის წარწყმედისა, არა ჰნებავს შენი წარწყმედად, არამედ განრინება.

ჰემდგომად ზლვსა მის დაშჯისა და წილისა მის შეწამებისა თვთ თავსა თვსსა დაშჯიდა და სივლტოლასა მას აღიარებს. ნა მათ მითცა არა ჳელი შეყვეს წინანარმეტყუელსა მას, არამედ დგეს და ხედვიდეს მას და თავთა თვსთა დაშჯიდეს და ბრალეულად ეპყრა და შემდგომად ესოდენისა შეცოდებისა უნდა მათ განრინებად მისი ზლვსა მისგან ღელვათაღსა.

ხოლო ზლუა იგი მითცა არა მიუტევებდა მას, არცა შეუნდობდა. ნა არცა თუ ზლუა იგი თვთ მას იქმოდა, არამედ იმერთი. ნა ვითარცა ზლვთა მით განსწავლიდა მას, ეგრეცა თევზითა მით აცნობებდა მას, რამეთუ, რაჟამს

ესმა მისგან, ვითარმედ: «აღმიღეთ და შთამადგეთ ზლუასა მაგას!»(იონ.1,12), და მენავენი იგი ფრიად ჰბრძოდეს, რათამცა ჳმელად ვითარ-რად გამოადგინეს ნავი იგი, ხოლო ღელვანი იგი ზლვსანი არა ერჩდეს. **წნ** შენ ჰხედავ წინანარმეტყუელსა მას მეოტსა მისგანვე.

უსმინე აღსაარებაცა იგი შიგან მუცლით მვეც-თევზისა მისგან, რამეთუ სივლტოლად მისი ვითარცა კაცისა და ხოლო იქმნებოდა; ხოლო აღსარებად მისი – ვითარცა წინანარმეტყუელისა, რამეთუ ამიერთგან მიიღო და დაათქა იგი ზლუამან და ვითარცა საპყრობილესა შინა. ჟეცა თუ საკრველითა რკინისათა შეჰკრვიდა და დასდებდა მას მუცელსა შინა თევზისასა და დაუმარხვიდა მას **ღვალსა** მას თვსსა, ვითარცა მეოტსა მონასა. ჟამეთუ ღელვათა მათ ურჩთა არა მოაშთვეს იგი და არცა მვეცისა სახემან მან თევზმან, რომელმან შთანთქა იგი, არა განრყუნა, არცა წარწყმიდა, არამედ დაჰმარხა და მოიყვანა და ქალაქად მიავლინა. ჟამეთუ ზლუა იგი და თევზი სადა იყვნეს, უცნობელი ბუნებად იყო და ესმოდა და ერჩდეს საღმრთოსა მას ბრძანებასა, რომლითაცა წინანარმეტყუელი იგი განისწავლა.

შაშინლა ამისა შემდგომად შევიდოდა ქალაქსა მას შუენიერსა და დიდსა და უქადავებდა ბრძანებასა მას პატიჟისასა, ვითარცა მუჰრაკითა სამეუფოთა მოსასრველსა მას ბრძანებასა, ღალადებდა და იტყოდა, ვითარმედ: «შემდგომად სამისა დღისა **წინველ** დაქცევად არს!»(იონ.3,4). ნა მათ ვითარცა ესმა ბრძანებად იგი, არას ორგულებდეს და არცა უდებ-იქმნეს, არამედ ყოველნი ადრე-ადრე მირბოდეს თაყუანის-ცემასა. ნა მარხვასა შეევედრებოდეს: მამანი და დედანი, ჳელმწიფენი და მფლობელნი, მოხუცებულნი და **წინველნი** ყრმანი და ჭაბუკნი და საცხოვართა ბუნებაცა დამორჩილებულ ოუზმებოდეს, ყოველნივე ერთბამად ძაძა-შთაცუმულ და ნაცარ-თავსა-გარდასხმულ იქმნებოდეს, ყოველნი გლოვასა და მწუხარებასა შევარდებოდეს. ნა თვთ მეფე იგი მათი, რომელსა შარავანდნი თავსა ედგნეს, გარდამოსრულ საყდრით სამეუფოთ, ძაძასა შთაიციუმოდა და ნაცარსა თავსა გარდაისხმიდა და ესრტთ შეუძლებდა განრინებად შეურვებულსა მას ქალაქსა მრავლისა მისგან ურვისა და ბრძანებისა მისგან საღმრთოღსა. ნა მუნ არს ხილვად, საქმე საკრველი!

ძაძა და ნაცარი პატიოსან იპოვა, ვიდრე შარავანდი და ძონეული, რამეთუ რომლისაგან ვერ განარინნეს შარავანდმან და ძონეულმან, ერეოდეს და განარინნეს ძაძამან და ნაცარმან.

წნ ჰხედავა, ვითარ არა უდებად ვთქუთ პირველსა მას თქუმულსა, ვითარმედ არა ჯერ-არს შეშინება და მორიდება მარხვისა და თაყუანისცემისაგან, არამედ ნაყროვანებისაგან და მთრვალობისაგან ჯერ არს შიში და მორიდება: რამეთუ მთვრალობამან და ნაყროვანებამან ქალაქი იგი აღმართებული და მტკიცე შეძრა და შეარყია და უნდა დამჯობად მისი, ხოლო მარხვამან და თაყუანის-ცემამან დაამტკიცეს და აღჰმართეს.

წმათ გამოვე შთაჴდა **წანიელ** მღვმესა მას ლომთასა და ვითარცა ცხოვართა შორის მშუდთა და ყუდროთა მათებრ ვითარცა მათგანი დგა. წალათუ განძნებულ იყვნეს კლვად მისა მესალილებისა მისგან ბუნებისა დამზადებულსა მას ზედა ჴორცსა, დალათუ ბუნება იგი მჴეცთად ანუევედა, შეიშინეს და ვერ იკადრეს შეხებად ჴორცთა.

სე უწყი, რამეთუ მძვნარ და ძლიერ არს ლომი, განმტეხელ და წარმწყმედელ – უფროსლა, რომელნი-იგი შუდ დღე შეეყენებულ და უზმებულ იყვნეს ჩუეულისა მისგან საზრდელისა და ვითარცა მრისხანეთა მკლველთა შეიხილნეს ურთიერთას, მოასხნეს მისა გარემო მკლავნი მათნი, რაათამცა ჴამეს და განძლეს ჴორცითა და სისხლითა მისითა, და მეყს შეშინდეს და დაჰჴსნდეს და რეცა შეირცხვნეს მიახლებად ჴორცთა მის წინანარ-მეტყუელი-სათა.

წმათ გამოვე სამნი იგი ყრმანი **ყაბილოვნ** საჴუმილსა მას ცეცხლისასა შევიდოდეს და მყოვარ ჟამ ცეცხლსა მას შინა იტყოდეს და უმბრწყინვალჴს და უნათლჴს ჴორცნი მათნი საჴუმილისაგან გამოვიდეს. წნ, უკუეთუ ცეცხლ იყო ცეცხლი იგი, რად არა იქმოდა საქმესა ცეცხლისასა? და თუ ჴორცნი იყვნეს ჴორცნი იგი მათნი, რად არა იგუემნეს ვითარცა ჴორცნი?

წნ, თუ ესრე სთქუა: ვითარ-მე არს ესე? მიეახლე მარხვასა და ჰკითხე მას და მან მოგიგოს და განგიმარტოს ძალი მარხვისა, რამეთუ ნანდვლ არსვე სახე: ბუნება ჴორცთად მათ უთმინო და მეოტ ბუნებასა ცეცხლისასა და აქა ძლეულ იპოვების ბუნება ცეცხლისა.

სხილე ღუანლი იგი საკვრველი, იხილე

საკვრველად იგი ძლევა და დაგიკვრდინ და აქე მარხვა და შეინყნარე იგი შენდად სიხარულით, რამეთუ ვინათგან საჴუმილსა შინა შემძლებელ არს განრინება და მღვმესა მას ლომთასა შემძლებელ არს დაცვად და ეშმაკთა შემძლებელ არს განდევნად. წა რისხვითი იგი ბრძანება იმრთისად წყალობად გარდააქციის და აღბორგებული იგი გულის-თქუმა დაშრიტის და აზნაურებად მოგვზიდნის, მრავლისა მშუდობისა მიზეზი გონებასა ჩუენსა განანესის, ვითარ არა სიმედგრე არს გონებისა უჴმარისა, რომელსა ესოდენი ესე ნუგეშინის-საცემელი და კეთილი ჴელთა აქუს და ერიდების და ეშინის მარხვისაგან?

წა, ვინ უწყის, თქუასცა ვინმე: გარდაიქციან და მოუძღურდინ ჴორცნი ესე. «ქოლო რავდენ გარეშე ესე კაცობა ჩუენი გარდაიქცის და მოუძღურდის, შინაგანი ესე კაცობა ჩუენი განახლდის და განძლიერდის დღითიდღედ»(2 კორ.4,16). წა თუ გინდეს ჴეშმარიტად კითხვად და ზედა-მინევნად და გამოცდად ძალისა მისისა, უფროსლა დედად სიმრთელი-სად ჰპოო მარხვა. წა თუ ჩემნი ესე სიტყუანი არა გრწმანან, მკურნალთაგან მეცნიერ იქმენ და ისნავე მათგან და მათ გამო დაემორჩილე და გულისხმა-ყავ, რამეთუ მათ დედა სიმრთელისა თქვან მარხვა, რამეთუ ვნება თავისა და სალმობა ფერჴთა, ანუ მეყს შებოროტება ვითარ შესწყდნის, და სიმძიმე და განრყუნილება სტომაქისა, და წყლით განსივება მუცლისა, და მსივანება, ანუ ზარის განჯდანი ჴორცთანი, ანუ ბევრნი სიმრავლენი სალმობათანი – ნაყროვანებისაგან და ფუფუნებისაგან იტყვედ მკურნალნი. წნ ცან, ვითარცა მძიმედ აღმომცემელთა წყაროთა ანუ ვითარცა ჴშიად და მრღვედ მავალთა მდინარეთა სიმრთელესა ჴორცთასა და მღვძარებასა სულთასა გარდააქცევედ და განჰრყუნიან.

წმიერთგან ნუ უდებ ხარ მარხვასა, რომელმან ესე ვითართა ბოროტთა ვნებათაგან განგუარინნეს, რამეთუ არა უდებად რას მიგცემ თქუენ მარადის სწავლასა ამას, არამედ ვხედავ მრავალთა თქუენგანთა კაცთა, ვითარცა დედაკაცისა ბოროტისა და სახე-უკეთურისაგან ზარ-გაც და ერიდებით მარხვასა, ხოლო მთრვალობასა და უძლებებასა ვითარცა ქმნულ-კეთილსა და მშუდსა და კრძალულსა და ნანარსა გნადის მიახლებად.

წმისთჴს გამცნებ თქუენ, რაათა, რომელსა

შესაძინელი და სარგებელი თქუენი მარხვითა იყოს და ნაყროვნებითა და მთრვალობითა ნუმცა შეურაცხ-იქმნების და განგეშორების. **ნა** ვითარცა სახედ სტომაქ-სალმობიერთა კაცთა რაჟამს ჰნებავნ შესუმად წამლისა და მაძღარ და სავსე არიედ ჭამადითა და მასვე ჟამსა შესვან წამალი იგი საკურნებელი, გემოი იგი სიმწარისა დაუშთის, ხოლო სარგებელისაგან შორს იპოვნინან: ძნელად შევდიან ურთიერთას წამალი იგი და ჭამადი, და მათსა მას ბრძოლასა ეგნის სალმობიერსა მას. **ნ**მისთვ-სცა უბრძანინან ველოვანთა უსეროდ და გემო-უხილველად დაძინებად. **შა**შინლა შეუძლის წამალმან მან განკურნებად და განრინებად სნეულისა მის.

**უსრე** სახედცა, რაჟამს მიეახლებოდი მარხვასა და დიდითა მთრვალობითა და გარდ-არეულად ჭამადითა დასტენო და აღმოივსო მუცელი შენი დღეს, და ხვალე და შემდგომად შესუა წამალი იგი, უდებ და ურგებ არს იგი შენდა, გარნა სალმობათა მათ ხოლო ზიარ ხარ. **ჴოლო** სარგებელთა მათგან შესცეთ, რომელ მთრვალობათაგან იქმნა შენდა უწესობა, რომელმან განლიის და წარწყმდის სიმრთელჴ და ძალი სულთა და ჴორცთა.

**ნ**მიერთგან ფრთხილად და მღვძარედ ჴამს თავთა ჩუენთა პყრობად და მშვდად და მდაბ-ლად გონებად ჩუენი, და მაშინლა წამლისა მის საკურნებელისა გემოი-ხილვად. **ნა** მრავალ-წლისა შეცოდებად და ბრალი შეუძლო განწმე-დად. **ნა** ნუ ამიერთგან შესულეზულნი და მიმოხილვით და რორინებით ეფუეშუებოდით ჟამსა მას მარხვისასა და ნუუკუე მეოტ-ქმნულ მარხვისაგან დავითქნეთ მთრვალობითა. **ნა** ნუმცა ვემსგავსებით მას, ვითარცა სახედ ვინ დასნეულდის და მოუძღურდის ჴორცთა ზედა და მერმე, კნინ უკეთე-ქმნულ და აღდგომილ, ეცის ნუ რაჲ უსუსურსა მას, მივარდის და ინყლის. **წ**ითარცა გვცნობიეს კაცად-კაცადსა თავთა ჩუენთა, ორკერძოდთვე უძნელე არს პირველისა მის შემდგომი იგი, გინა თუ სული-ერად, გინა თუ ჴორცილად, რომლისა მარხვითა შემძლებელ ვართ განკრძალვად და განრინე-ბად.

**წ**ითარცა მვეცთათვს მკლველ, შეჭურვილ და მახვლოსან, და განმზადებულმცა ვართ და-ფარვად და განრინებად ჴორცთა ჩუენთა და ურვათაგან ამის სოფლისათა, რომელნი გვ-მზირიან და გუბრძვანან ჩუენ, ესრე სახედცა

**ან** მრავალნი კაცთაგანნი მარხვასა, ვითარცა მვეცთა ბრძოლასა, ზარ-განხდილნი და შემ-ინებულნი შევლენედ და განკრძალულ და სხენედ და აღმოავსებედ უპესა და მუცელსა თვსსა და განსივებულნი კუნესიედ და დაბ-ნელებულ და შესულეზულ თავნი მათნი არ-იედ მრავლითა მით უგუნურებითა და მვდომ ეპოვნინან მშვდსა მას და მყუდროსა და შეუ-ნიერსა მარხვასა.

**ნა** მეყს თუ ჴკითხო ვისმე: რაჲსა მიის-წრაფი აბანოდ დღეს? მოგიგოს და თქუას: რამეთუ ხვალე მარხვაჲ შემოვალს. **ნ** ვითარ ეგების ესე, ანუ ვითარ მარჯუე არს? უკუეთუ ჴორცთა მაგათ განიწმედ, სულსა მაგას რაჲსა წილოვანს იქმ? ეგების-მე რაჲა ამისა უფროდსი სიტყუად და მოძღურებაჲ მარხვისათვს?

**ჴოლო** ბრძენთა კაცთა მცირედნიცა სიტყ-უანი შემძლებელ არიან კუალს-დგინებად და მოქცევად. **ქ**ომლისათვსცა თანა-გუაც კმა-ყოფად სიტყუათაჲ ამათ, რამეთუ გუნადის სმენად ვმისაჲ მამათ-მთავრისაჲ ამის: დალათუ ჩუენ ვითარცა ყრმანი უსრულნი და მწყემსნი გისტვენედით ნესტვთა სულიერთა, ვითარცა საგრილსა ქუეშე მუხასა, გინა თუ ძენწსა, ეს-რწთ დავსხედით მთავართა შორის მღდელთა და გასმინეთ თქუენ ვმაჲ ებნისაჲ მის ჩუენისაჲ, რავდენ ძალ-გუედვა.

**ჴოლო** ამან, რომელ-ესე მამაჲ ჩუენი არს, ვითარცა ველოვანთ მოძღუარმან და ბრძენ-მან, უფროდს სახესა მას ოქროსა ნესტვსა და ერთად ჴმად და ერთად სახედ დაჴბეროს და განგებულად გასმინოს და ტკბიადითა მით ვმითა და სასმენელითა მით სიტყვთა ყოველ-ნი შემოგუკრიბნეს, ნუგეშინის-გუცეს, შეგ-წწყნარნეს არათუ ნანდვლ ნესტვთა, არამედ ერთობისა სიტყვთა და საქმითა და მრავლითა შეძინებითა სარგებელითა. **ქ**ამეთუ ჴრისტე-მანცა ესევეითარნი გამოიწრინა მოძღუარნი და იტყუს: «რომელმან ყოს და ასწაოს, ესე დიდ ინოდოს სასუფეველსა შინა ცათასა»(მთ.5,19).

**ნ** ლოცვითა ამისითა და ყოველთა ამათ თანა-მოსაყდრეთათა ღირსმცა ვართ ჩუენცა მიწევნად სასუფეველსა **ნ**ათასა მადლითა და კაცთმოყუარებითა **ღ**ფლისა ჩუენისა **წ**ესუ ჴრისტწსითა, რომლისა თანა **შ**ამასა დიდებაჲ და პატივი სულით **წ**მიდითურთ და ქველის მოქმედებით, ან და მარადის და უკუნიითი უკუ-ნისამდე. **ნ**მენ.